



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1

21 თებერვალი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №45

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თამაზ სალუქვაძეს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება 2009 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველზე მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ქონების ჩაბარებისას წარმოადგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი